

**მიგრაციული პროცესების გავლენა  
სვანი ეკო-მიგრანტების ეთნიკურ, რელიგიურ და  
კულტურულ იდენტობასა და ტრადიციებზე**

**ეკო-მიგრაციის პრობლემა მსოფლიოში და საქართველოში**

მოსახლეობის მიგრაცია საცხოვრებელი ადგილის შეცვლასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ტერიტორიულ გადაადგილებას მოიაზრებს. ხალხი უმთავრესად პოლიტიკური, ეკონომიკური და საგანმანათლებლო მიზნებით მიგრირებს, თუმცა, ბუნებრივი კატაკლიზმები, რომლებსაც თითქმის ყოველდღე აქვს ადგილი მთელ მსოფლიოში, ასევე, ხშირი მიზეზი ხდება მიგრაციებისა. *კლიმატის ცვლილებები და მათთან დაკავშირებული ბუნებრივი კატასტროფები 21-ე საუკუნის ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა*, რომლის ყველაზე უარყოფითი შედეგი ეკო-მიგრაციაა. საერთაშორისო მიგრაციის გლობალური კომისია, ეკოლოგიური კატასტროფის შედეგად, მშობლიური საცხოვრისიდან იძულებით ადგილნაცვალ პირებს „ეკოლოგიურ მიგრანტებს“ უწოდებს, რომელთაც, ძირითადად, საცხოვრებელი ადგილის სამუდამოდ დატოვება უწევთ (Borishvili 2003: 35).

არსებული მონაცემებით, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა რიცხვი, მსოფლიო მასშტაბით, 40 მილიონს აჭარბებს; საქართველოში კი სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული 35 ათასზე მეტი ოჯახია რეგისტრირებული (ასანიძე, 2017)<sup>1</sup>. ეს რიცხვები უთუოდ მიუთითებს ეკო-მიგრაციის პრობლემის სიმწვავეზე, თუმცა, იშვიათად ტარდება კვლევები ეკო-მიგრანტთა მდგომარეობის, საცხოვრებელი პირობებისა და საჭიროებების დასადგენად, რომ არაფერი ვთქვათ მათი ახალ გარემოში ადაპტაციის, ასევე, ეთნიკური, რელიგიური თუ კულტურული იდენტობისა და ტრადიციების შენარჩუნების პრობლემებზე.

**ეკო-მიგრაციის სოციალურ-კულტურული ასპექტები**

ფაქტია, რომ ბუნებრივი კატაკლიზმებით გამოწვეული ეკოლოგიური მიგრაციები, სხვა სახის მიგრაციებს შორის, მსოფლიოს მასშტაბით, ყველაზე ნაკლებადაა შესწავლილი. არადა, თითქმის ყოველდღეურად ხდება ამინისძვრები, წყალმოვარდნები, მენყრები, ზვავები, ხანძრები, რომელთა შედეგად, ათასობით ადამიანი ეკოლოგიური დევნილი ხდება და იძულებულია, ახალ გარემოსთან ეკონომიკური, კულტურული, სოციალური, ფსიქოლოგიური და ა.შ. ადაპტაცია მოახდინოს. სწორედ ამიტომ, ეკო-მიგრაციების კვლევა ინტერდისციპლინურ მიდგომას საჭიროებს, რომელიც უზრუნველყოფს პრობლემის პოლიტიკური, სოციალური, იურიდიული, დემოგრაფიული, ისტორიული, ეკონომიკური, ფსიქოლოგიური, კულტურული ასპექტების წარმოჩენას და მოვლენის კომპლექსურად შესწავლას.

ეთნომუსიკოლოგებს ამ კვლევაში წვლილის შეტანა პრობლემის სოციალურ-კულტურული ასპექტების შესწავლით შეგვიძლია.

ლოგიკურად, მიგრაციული პროცესების თანმდევი ნებისმიერი მოვლენა განსახილველია ორი საზოგადოებრივი ჯგუფის ფარგლებში. ესენია: 1. „მიგრანტები“ –

<sup>1</sup> 2017 წლის მონაცემებით

ადგილნაცვალი პირები და 2. „დამხვედურები“ – „მიგრანტების“ ახალი საცხოვრებელი ადგილის მკვიდრი მოსახლეობა. ცხადია, ორივე ჯგუფს აქვს საკუთარი იდენტობა, ყოფითი და კულტურული ტრადიციები, ღირებულებები, დამოკიდებულებები და მიგრაციის მთავარი სირთულე, სწორედ, მათი მშვიდობიანი მორიგებაა. ეს პრობლემა მიგრანტთა მინიმალური მატერიალური უზრუნველყოფისთანავე იჩენს თავს და, პირველ რიგში, საკუთარი ეთნიკური თუ რელიგიური იდენტობის, შემდეგ კი, ყოფითი და კულტურული ტრადიციების დაცვა-შენარჩუნების ტენდენციებში მულავნდება.

წინამდებარე მოხსენებაში, შევეცდები, ეს პრობლემები წარმოვჩინო სვანი ეკო-მიგრანტების მაგალითზე, რადგან, იდენტობისა და კულტურული ტრადიციების დაცვის პრობლემები, ვფიქრობ, განსაკუთრებით აქტუალურია სწორედ სვანეთთან მიმართებაში, რომელიც საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით, ტრადიციების შენარჩუნებისკენ მიმართული გამოკვეთილი ორიენტაციით ხასიათდება.

### **სვანი ეკო-მიგრანტები ახალ გარემოში**

სვანეთიდან, დიდთოვლობის გამო მომხდარი სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ერთ-ერთი პირველი, ფართომასშტაბიანი მიგრაცია 1980-იანი წლების ბოლოს მოხდა. კერძოდ, 1987-89 წლების ზამთარში, ამ რეგიონის ბევრ სოფელში ზვავი ჩამოწვა, რასაც საცხოვრებელი სახლების ნგრევა და მსხვერპლი მოჰყვა. სტიქიის ზონიდან დაახლოებით 16 000 ადამიანის ევაკუაცია განხორციელდა. სახელმწიფოს მიერ დაიგეგმა მათთვის რამდენიმე ათასი სახლის აშენება, როგორც აღმოსავლეთ, ისე – დასავლეთ საქართველოში (გოცირიძე, :2011 353).

ეკო-მიგრანტების განაწილება, ზოგ შემთხვევაში, უკვე დასახლებულ რეგიონებში მოხდა (მაგ.: მარნეულის, წალკის, ბოლნისის, დმანისის, წყალტუბოს, ხონის, ოზურგეთის, ლანჩხუთის შემთხვევაში), ზოგან კი, სვანებს საკუთარი სოფლები აუშენეს (საგარეჯოს, თეთრიწყაროს, გარდაბნის შემთხვევაში). აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ „მასპინძელი“ მოსახლეობა ზოგან ქართული იყო (ბოლნისის, წყალტუბოს, ხონის, ოზურგეთის, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტებში), ზოგან კი – არაქართული, კერძოდ, სომხური, ბერძნული, აზერბაიჯანული და სხვ. (მაგ: წალკის, დმანისის, მარნეულის მუნიციპალიტეტებში).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინება მნიშვნელოვნად მიმჩნია, რადგან „სტუმრებისა“ (მიგრანტები) და „მასპინძლების“ (მკვიდრი მოსახლეობა) ურთიერთშეგუება რთული, არაპროგნოზირებადი და, ხშირად, ხანგრძლივი პროცესია და გავლენას ახდენს მიგრანტთა იდენტობასა და ტრადიციებზე. სწორედ ამიტომ, ზემოთ ჩამოთვლილ რეგიონებში მოპოვებული საექსპედიციო მასალის საფუძველზე, ჩემი კვლევა ეკო-მიგრანტთა სამი ჯგუფის ფარგლებში განვასხორციელე: 1. ქართულ გარემოში ჩასახლებულ ეკო-მიგრანტებში; 2. არაქართულ გარემოში ჩასახლებული ეკო-მიგრანტებში; 3. ეკო-მიგრანტებში, რომლებსაც საკუთარი სოფლები აუშენეს.

რეგლამენტის გათვალისწინებით, წინამდებარე მოხსენებაში წარმოგიდგენთ ყოველი ჯგუფის კვლევის შედეგებს თითო სოფლის მაგალითზე. პირველ ჯგუფში განვიხილავ ეკო-მიგრანტებს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელი საყულიიდან; მეორე ჯგუფში – ეკო-მიგრანტებს წალკის მუნიციპალიტეტიდან, მესამეში კი – თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდგორში ჩასახლებულებს.

კვლევისათვის ინტერვიუებისა და შედარებითი მეთოდები შევარჩიე, რომ, ერთი მხრივ, რეალური სურათი თვით მიგრანტების თვალთ დამენახა, მეორე მხრივ კი, აღნიშნული სამი ჯგუფის მონაცემები ერთმანეთისთვის შეედარებინა.

### **ტრადიციების შენარჩუნების პრობლემა ქართულ გარემოში ჩასახლებულ ეკო-მიგრანტებში**

იმერეთში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ საყულიაში სვანების ჩამოსახლება, 1987 წელს მოხდა, ლენტეხის მუნიციპალიტეტის (ქვემო სვანეთი) სამი თემის -20მდე სოფლიდან (დაახლოებით 15 გვარის -300მდე ოჯახი). ეკო-მიგრანტებმა საყულიაში „სვანების უბანი“ შექმნეს და მას „ახალი საყულია“ დაარქვეს. კითხვაზე, თუ როგორ მოხდა მიგრანტებისა და მკვიდრი მოსახლეობის ურთიერთშეგუება, ერთმა ინტერვიუერმა მიპასუხა: „ჩამოსახლებიდან ძალიან მალე სვანები და იმერლები დავმეგობრდით და დავნათესავდით... ჩვენ გაგვიმართლა, რომ ქართველების გვერდით დავგასახლეს, იმათგან განსხვავებით, ვინც სომხებთან და აზერბაიჯანლებთან მოხვდნენ“ (პირადი ინტერვიუ, 2022).

შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ეთნიკური და რელიგიური ნათესაობის პირობებში, საყულიაში ჩასახლებულ სვანებს არ მოუწიათ ბრძოლა საკუთარი ეთნიკური და რელიგიური იდენტობის, ენისა და წეს-ჩვეულებების დაცვისათვის. ისინი დღემდე ასწავლიან ბავშვებს სვანურ ენას, ტრადიციულად აღნიშნავენ საერო და საეკლესიო დღესასწაულებს, როგორებიცაა: ხატსკვეჭნაალ, სკალდობ, ლიფაანალ, ლიგიერგი, ლიმრიე, შობ, თანაფ და სხვა. სხვათა შორის, სწორედ სვანების აქტიურობის შედეგად, ერთობლივი ძალებით, მოხერხდა საყულიას ძველი, ნახევრად დანგრეული ტაძრის აღდგენა, სადაც, ტრადიციული ღვთისმსახურების შემდეგ, სვანებს ეძლევათ ნება, საკუთარი წესისამებრ აღნიშნონ დღესასწაულები (ე.წ. „სტაროსტას“ დამწყალობების რიტუალით, ლემზირებით, საკლავის შენირვით, პურობით და ა.შ.).

აღსანიშნავია ისიც, რომ საყულიაში ჩასახლებული ეკო-მიგრანტები, დღემდე დადიან ლენტეხის რაიონის სოფელ ფაყში, სადაც, სკალდის მთავარანგელოზის ეკლესიაში იმართება სკალდობის ტრადიციული დღესასწაული (პირადი ინტერვიუ, 2022).

რაც შეეხება ტრადიციულ მუსიკას, 1990-იანი წლების დასაწყისში, ეკო-მიგრანტმა გურამ კვასტიანმა ბავშვთა ანსამბლი ჩამოყალიბა. მის რეპერტუარში შედიოდა მხოლოდ სვანური სიმღერები, ცეკვები და ფერხულები. გურამ კვასტიანმა საყულიაში უხუცესთა ანსამბლიც შექმნა, თუმცა მეტად საინტერესო პრობლემის წინაშე დადგა. მისი თქმით, იმის გამო, რომ სვანეთის თითქმის ყველა სოფელს სიმღერებისა და ფერხულების საკუთარი ვარიანტი ჰქონდა, სხვადასხვა სოფლიდან ჩამოსახლებულ უხუცესებს გაუჭირდათ საკუთარი ვარიანტის დათმობა და სერიოზული ძალისხმევა დასჭირდა, რომ ერთი რომელიმე ვარიანტის შესრულებაზე დაეთანხმებინა ყველა. სწორედ ამ მიზეზით, ანსამბლმა მხოლოდ რამდენიმე თვე იარსება და დაიშალა. დაშლის ფაქტი, თავისთავად, ნეგატიურია, თუმცა, მიზეზი – უთუოდ პოზიტიური.

საყულიაში ჩასახლებულ სვანთა ინტერვიუებისას კიდევ ერთი საინტერესო მიზეზი გამოიკვეთა, რის გამოც, ახალ გარემოში, სვანებს გაუჭირდათ საკუთარი ტრადიციული მუსიკის გავრცელება. სვანეთისგან განსხვავებით, სადაც წლის დიდი ნაწილი უხვთოვლიანი ზამთარი იყო, როცა ხალხი სამუშაოსგან ისვენებდა და შესაკრებად, მოსალხენად და სამღერლად იცლიდა, ბარში, სადაც ზამთარში თოვლი თითქმის არ მოდიოდა და მიგრანტებს მთელი წლის განმავლობაში უწევდათ მუშაობა, რომ ოჯახები ერჩინათ, ვეღარ იცლიდნენ სიმღერისა და ცეკვისთვის.

თუმცა, ყოფას შემორჩა ისეთი რიტუალი, რომელსაც „მოკლა“ არ სჭირდება. ესაა გლოვა და მისი თანმხლები ქალთა დატირებები. რაც შეეხება მამაკაცთა ზარს, მოხუცი მოზარეების გარდაცვალების შემდეგ, ქუთაისის სახელმწიფო ანსამბლის ბიჭებს ინვევენ ხოლმე მის სათქმელად. ტირილის და ზარისადმი ამგვარი

„ერთგულება“ ცხადყოფს სვანების უცვლელ დამოკიდებულებას მიცვალებულის კულტისადმი, რაც საყოველთაოდაა ცნობილი.

2002 წელს გურამ კვასტიანი თბილისში წამოვიდა. ადგილობრივი ხელისუფლების ხელშეწყობის არარსებობის გამო, სოფელი ანსამბლის გარეშე დარჩა. თუმცა, უკვე წამოიზარდნენ ყოფილი ბავშვთა ანსამბლის წევრები, რომლებიც გრძნობენ ტრადიციების გაგრძელების საჭიროებას. მათ შორისაა 24 წლის ოთარ გვიჭიანი – ქუთაისის კულტ-საგანმანათლებლო სასწავლებლის სტუდენტი, რომელმაც სვანური ხალხური მუსიკა გურამ გვიჭიანის მოსწავლის, ზურაბ ლიპარტელიანისგან ისწავლა და დღემდე ლენტეხის მუნიციპალიტეტის ანსამბლ „ლაგუშედაში“ მღერის, ცეკვავს და ხალხურ საკრავებსაც ეუფლება. მას კვირაში ორჯერ, დაახლოებით 80 კმ-ის გავლა უწევს წყალტუბოდან ლენტეხამდე რეპეტიციებზე დასასწრებად! მომავალში კი, გეგმავს საყულიაში სვანური მუსიკალური ტრადიციების აღდგენას და ამ პროცესში ახალგაზრდა თაობის აქტიურ ჩართვას.

### **ტრადიციების შენარჩუნების პრობლემა არაქართულ გარემოში ჩასახლებულ ეკო-მიგრანტებში**

ნალკის მუნიციპალიტეტში სვანი ეკო მიგრანტები 1987 წელს, მესტიის რაიონის სოფელ ლატალში მომხდარი სტიქიური მოვლენების შემდეგ ჩაასახლეს. მათ, წყალტუბოელი ეკო-მიგრანტებისგან განსხვავებით, ბერძნების, აზერბაიჯანლებისა და სომხების მეზობლად მოუხდათ ახალი ცხოვრების დაწყება. ეთნიკური და რელიგიური იდენტობის სხვადასხვაობამ სერიოზული პრობლემები შექმნა, როგორც შეგუების, ისე ტრადიციების დაცვის კუთხით. მაგალითად, ადგილობრივები ვერ ეგუებოდნენ დასამუშავებელი მიწების „გაზიარებას“, ეწინააღმდეგებოდნენ მიგრანტების მიერ მართლმადიდებლური ეკლესიის მშენებლობას, აპროტესტებდნენ დღესასწაულების სვანური წესით აღნიშვნის ტრადიციას და ა.შ. ნალკელი ინტერვიუერების თქმით, წლები დასჭირდა ურთიერთობების მოწესრიგებას, რამაც, მნიშვნელოვნად შეუშალა ხელი ამ რეგიონში სვანების ყოფითი წეს-ჩვეულებებისა და მუსიკალური ტრადიციების დანერგვას (პირადი ინტერვიუ, 2019), თუმცა, ეკო-მიგრანტებმა, ნებით თუ ძალით, მაინც თავისი გაიტანეს: ააშენეს მართლმადიდებლური ტაძარი<sup>2</sup>, დაიწყეს საერო და საეკლესიო რიტუალების სვანური წესით აღნიშვნა, არასოდეს უღალატიათ სუფრის სვანური წესისათვის<sup>3</sup>. გარდა ამისა, შექმნეს ფოლკლორული ანსამბლი სახელწოდებით „თრიალეთი“, რომელიც, ძირითადად, სვანურ სიმღერებსა და ფერხულებს ასრულებს. ანსამბლის წევრია ცნობილი ლატალელი მომღერლისა და ლოტბარის, მაჭარბი გურგულიანის ვაჟი – მერაბ გურგულიანიც, რომელიც, სვანური ცეკვისა და სიმღერის პოპულარიზებით სახელოვანი მამის ტრადიციებს აგრძელებს.

### **ტრადიციების შენარჩუნების პრობლემა ეკო-მიგრანტებში, რომლებსაც საკუთარი სოფლები აუშენეს**

1989 წელს, ქვემო ქართლში, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ამჟამინდელ სოფელ დიდგორში, მესტიის რაიონის 8 სოფლიდან -40მდე ოჯახი ჩამოასახლეს. მათ სახლები სოფელ ორბეთის ახლოს, დაუსახლებელ ტერიტორიაზე აუშენეს. სოფელს

<sup>2</sup> აღსანიშნავია, რომ სვანმა ეკო-მიგრანტებმა ყველა სოფელში წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი ააშენეს, რაც სვანების განსაკუთრებულ ერთგულებას ადასტურებს ამ წმინდანისადმი.

<sup>3</sup> კერძოდ, პირველ სამ სადღეგრძელოს, შესაბამისად, დიდ ღმერთს („ხოშა ღერბეთს“), მთავარანგელოზებს („მქემ თარინგულს“) და წმინდა გიორგის („ჯგრაგს“) უძღვნიან.

სახელი თავად სვანებმა დაარქვეს. ეს ის შემთხვევაა, როცა ეკო-მიგრანტებს, ზემოთ განხილული ჯგუფებისაგან განსხვავებული სირთულეები დახვდათ და ადაპტირება, არა ადგილობრივ მოსახლეობასთან, არამედ, რთულ საცხოვრებელ პირობებთან მოუწიათ. აქაურების თქმით, წლების განმავლობაში სოფელს არ ჰქონდა წყლის სისტემა, ელექტრო ენერჯია, ბუნებრივი აირი, თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, მაინც აღნიშნავდნენ საერო და საეკლესიო დღესასწაულებს, მათი თანმხლები რიტუალებითა და სიმღერებით, მოახერხეს ტაძრის აშენება და ჩამოაყალიბეს ფოლკლორული ანსამბლი „დიდგორი“, რომლის შემადგენლობაში, ხანდაზმულებთან ერთად, ახალგაზრდებიც არიან. ჩემი ინტერვიუერი სწორედ ანსამბლ „დიდგორის“ ხელმძღვანელი, ივანე გოშუანი იყო. მისი თქმით, დიდგორელი სვანები დღემდე იცავენ სვანურ ტრადიციებს, როგორებიცაა: ლიფაანალ, ლიშპარი, ლიგიერგი, ლიშირე; ცდილობენ, კვირიკობისა და პეტრე-პავლობის დღესასწაულებს სვანეთში დაესწრონ. მიცვალებულს დღემდე ქალთა ტრადიციული ტირილით და მამაკაცთა ზარით გლოვობენ, იცავენ სვანური სუფრის ტრადიციებს, ცდილობენ, ბავშვებსაც ასწავლონ სვანური ენა და სვანური სიმღერები. ანსამბლ „დიდგორის“ რეპერტუარი, ძირითადად, სვანური სიმღერებისა და ფერხულებისგან შედგება, რომლებსაც დიდგორელები ყოფაშიც ასრულებენ და სცენაზეც (პირადი ინტერვიუ, 2022).

### **დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ:**

მიუხედავად ადაპტაციის რთული და ხანგრძლივი პროცესისა, ეთნიკური თუ რელიგიურისახის პრობლემებისა, რთული საცხოვრებელი პირობებისა, სვანეთისაგან განსხვავებული კლიმატური პირობებისა, სვანებმა ახალ გარემოშიც შეინარჩუნეს თვითმყოფადობა ჩამოსახლებიდან 30 წლის მანძილზე, რაც დასტურდება:

- სვანური ენის შენარჩუნებით;
- რელიგიური მრწამსის ერთგულებით;
- საერო და საეკლესიო დღესასწაულების სვანური წესით აღნიშვნით;
- სვანური სუფრის ტრადიციების დაცვით;
- სვანური სასიმღერო, საცეკვაო და საფერხულო ტრადიციების

გაგრძელებით;

- გლოვის რიტუალის სრული დაცვით ყოფაში;
- სვანეთის მშობლიურ სოფლებთან მჭიდრო კავშირის შენარჩუნებით.

მოხსენებაში წარმოდგენილი სამი სოფლის მონაცემთა კვლევის შედეგები მეტ-ნაკლებად საერთოა ეკო-მირანტებით დასახლებული დანარჩენი სოფლებისთვისაც. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ მიგრაციულმა პროცესებმა, კიდევ უფრო ცხადად დაგვანახა სვანური ეთნოგრაფიული ჯგუფის მყარი ორიენტაცია, მიმართული ეთნიკური, რელიგიური და კულტურული იდენტობისა და ტრადიციების დაცვა-შენარჩუნებაზე.

### **ინტერვიუერები:**

გურამ კვასტიანი, 59 წლის. ჩამოსახლებული წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ახალ საყულიაში ლენტეხის მუნიციპალიტეტის ჩოლურის თემის სოფელ მუნდიდან, 1987 წელს. აჟამად ქ. თეთრინყაროს კულტურისა და სპორტის ცენტრის მუსიკის სამსახურის ფოლკლორის განყოფილების უფროსი.

ოთარ გვიჭიანი, 24 წლის. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ახალ საყულიას მკვიდრი, ქუთაისის კულტ-საგანმანათლებლო სასწავლებლის სტუდენტი, ლენტეხის მუნიციპალიტეტის ანსამბლ „ლაგუმედას“ წევრი.

ივანე გოშუანი, 68 წლის. ჩამოსახლებული მესტიის რაიონის სოფელ ცხუმარიდან



თეთრიწყაროს მუსიციპალიტეტის სოფელ დიდგორში. ადგილობრივ ფოლკლორულ ანსამბლ „დიდგორის“ ხელმძღვანელი.

გეგი გვიჩიანი, 34 წლის. ჩამოსახლებული მესტიის რაიონის სოფელ ლახუშდიდან 1987 წელს წალკის მუნიციპალიტეტში. ადგილობრივ ფოლკლორულ ანსამბლ „თრიალეთის“ ხელმძღვანელი.

მერაბ გურგულიანი, 56 წლის. ჩამოსახლებული მესტიის რაიონის სოფელ ლახუშდიდან 1987 წელს წალკის მუნიციპალიტეტში. წალკის მუნიციპალიტეტის ფოლკლორულ ანსამბლ „თრიალეთის“ წევრი.

### გამოყენებული ლიტერატურა

- ასანიძე, თ. (2017). მიგრაციული პროცესების მიმოხილვა თანამედროვე საქართველოში. სამაგისტო ნაშრომი. თსუ (ხელნაწერის უფლებებით).
- გოცირიძე, გ. (2011). სვანთა დასახლებები ქვემო ქართლში. *ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები*. IV, გვ. 351–362. თბილისი.
- ზურაბიშვილი, თ., & თავბერიძე, გ. (2016). ეკო-მიგრანტები და პოტენციური ეკო-მიგრანტები საქართველოში: გამოცდილება და თვითშეფასებები. კვლევის ანგარიში. თბილისი.
- Воробьева, О. (2003). Миграционные процессы населения: вопросы теории и государственной миграционной политики. Аналитический сборник Совета Федерации ФС России. 9(202), 35.*